სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

31 ივლისი, 2026 წ.

ბრძანება №01-08/492

ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის პროგრამაზე „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვის შესახებ**

,,უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, „რეზიდენტურის ალტერნატიულ დიპლომისშემდგომ განათლებაში (პროფესიულ მზადებაში) მონაწილეობის, მისი წარმართვისა და შეფასების წესისა და იმ სამედიცინო დაწესებულებების ან/და სასწავლებლების აკრედიტაციის კრიტერიუმების და წესის დამტკიცების შესახებ, რომლებშიც შესაძლებელია დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) კურსის გავლა“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2009 წლის 8 აპრილის #135/ნ ბრძანების, ,,დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამების განხორციელების წესის დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2010 წლის 23 დეკემბრის №135 დადგენილების, „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე **სწავლის საფასურის გადახდის წესის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2020 წლის 11 მარტის №01-10/36 ბრძანების, ,,დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სუბსპეციალობის პროგრამის „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/142 დადგენილების, ბსუ-ს დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სუბსპეციალობის პროგრამისათვის „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ პროფესიული განვითარების საბჭოს 2026 წლის 20 ივნისის №11 გადაწყვეტილებით აკრედიტაციის მინიჭების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სამედიცინო და ფარმაცევტული საქმიანობის რეგულირების სააგენტოს წერილის (REG 0 26 00883766, 01/07/2026 წ., ბსუ-ში შემოსვლის №867120, 06/07/2026 წ.), ,,რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამებზე (სტომატოლოგიის მიმართულებით) **სწავლის საფასურის,** პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და პირველადი ხარჯთაღრიცხვების დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2026 წლის 16 თებერვლის №01-10/12 ბრძანების, ,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სუბსპეციალობის პროგრამაზე „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ მიღების გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 20 ივლისის **№01-02/142 ბრძანების,** „ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის მსმენელთან/სპეციალობის მაძიებელთან გასაფორმებელი **ხელშეკრულების ფორმის** დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 23 მარტის №01-02/60 ბრძანების, ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის სტომატოლოგიის დარგობრივი დეპარტამენტის ხელმძღვანელის **სამსახურებრივი ბარათის** (MES 3 26 0001002331, 31/07/2026 წ.) საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სუბსპეციალობის პროგრამაზე **„პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“** (პროგრამის ხანგრძლივობა - **3 თვე**) **ჩაირიცხონ** სპეციალობის მაძიებლები, წინამდებარე ბრძანების **№1 დანართის** შესაბამისად.
2. ბსუ-ს საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სუბსპეციალობის პროგრამაზე „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ **სასწავლო პროცესი დაიწყოს** 2026 წლის **03 აგვისტოს.**
3. ბრძანება საჯარო გამოცხადების მიზნით გამოქვეყნდეს ბსუ-ს ოფიციალურ ვებგვერდზე, ასევე ეცნობოს სპეციალობის მაძიებლებს და განთავსდეს მათ პირად საქმეებში.
4. ბსუ-ს სარეზიდენტო პროგრამის ხელმძღვანელმა (მ. ბაქრაძე) უზრუნველყოს პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა და პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ინფორმირება (დამატებითი ინფორმაციის მიწოდება/წინამდებარე ბრძანების გაცნობა და სხვა საორგანიზაციო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება).
5. ბრძანება დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს: საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტს, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს, საქმისწარმოების სამსახურს (კანცელარია), საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს, იურიდიულ დეპარტამენტს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
6. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. №30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არუშიძე**

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) სუბსპეციალობის პროგრამაზე **,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია**“ სპეციალობის მაძიებელთა ჩარიცხვის შესახებ”

ბსუ-ს რექტორის 2026 წლის 31 ივლისის №01-08/492 ბრძანების

№1 დანართი

,,ბსუ-ს რეზიდენტურის ალტერნატიული დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) **სუბსპეციალობის პროგრამაზე ,,პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“**

ჩარიცხული სპეციალობის მაძიებლები

(საფუძველი: პროგრამაზე მიღების გამოცხადების შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანების №01-**02/142**, 20/07/2026 წ. საფუძველზე ჩატარებული კონკურსის შედეგები)

პროგრამის ხანგრძლივობა - 3 თვე

№	სპეციალობის მაძიებლის სახელი და გვარი	პირადი ნომერი	ბსუ-ს პროგრამაზე სწავლის ხანგრძლივობა	შენიშვნა (პირობითი ჩარიცხვა - წარმოსადგენი დოკუმენტები და ვადა)
1	ლანა ჯაფარიძე		3 თვე	საკონკურსო დოკუმენტაცია სრულად არის წარმოდგენილი
2	ნინო კალაჯიშვილი			
3	სოფია მაკარაძე			
4	თეა აბაშიძე			
5	ემზარ კახაძე			
6	მირანდა შარაძე			

პროგრამის მოდულები, მოდულებზე პასუხისმგებელი პირები (,,დიპლომისშემდგომი სამედიცინო განათლების სუბსპეციალობის „პირის ღრუს ქირურგიული სტომატოლოგია“ განხორციელებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 20 ოქტომბრის №06-01/142 დადგენილების შესაბამისად) **და კლინიკური ბაზები:**

№	სპეციალობის მაძიებლის სახელი და გვარი	კლინიკური მოდულის დასახელება და ხანგრძლივობა	**კლინიკური ბაზა**	**მოდულზე პასუხისმგებელი პირი**
1	ლანა ჯაფარიძე .	1. ქირურგიული სტომატოლოგიური ავადმყოფების გამოკვლევა, გაუტკივარება ქირურგიულ სტომატოლოგიაში. კბილის ამოღების ოპერაცია - 1 **თვე;** 2. ოდონტოგენური ანთებითი პროცესები. კბილის მაგარი და რბილი ქსოვილების	ი/მ „დათო შავაძე“	**ლევან კონცელიძე**
2	ნინო კალაჯიშვილი		ი/მ „დათო შავაძე“	**ლევან კონცელიძე**

3	სოფია მაკარაძე	ტრავმული დაზიანებები. ენის და პირის ღრუს ლორწოვანი გარსის ტრავმული დაზიანებები და პაროდონტის დაავადებების ქირურგიული მკურნალობა - **1 თვე;** 3. ავადმყოფის გამოკვლევის მეთოდიკა ბავშვებსა და მოზარდებში. სარძევე და მუდმივი კბილების ექსტრაქციის თავისებურებები, მათი გართულებების თავიდან აცილების გზები. ოდონტოგენური ანთებითი პროცესების მიმდინარეობის თავისებურებები ბავშვებსა და მოზარდებში. კბილების ტრავმული დაზიანებები, მათი მკურნალობის სპეციფიკა გამომდინარე ასაკიდან. მცირე მასშტაბის ქირურგიული ჩარევები ყბების ძვლების მცირე ზომის სხვადასხვა გენეზის კისტებისა და სანერწყვე ჯირკვლების კისტების დროს. ზედა და ქვედა ტუჩის ლაგამების ქირურგიული მკურნალობის ვადები და მეთოდების თავისებურებები ბავშვებსა და მოზარდებში - **1 თვე**	ი/მ „დათო შავაძე“	**ლევან კონცელიძე**
4	თეა აბაშიძე		ი/მ „რეზო ბერიძე“	**ბექა ბერიძე**
5	ემზარ კახაძე		ი/მ „რეზო ბერიძე“	**ბექა ბერიძე**
6	მირანდა შარაძე		ი/მ „რეზო ბერიძე“	**ბექა ბერიძე**